ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 387

30 ოქტომბერი
"---"-------- 2015 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი №36-40-ის მიმდებარედ არსებული 39 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.14.11.016.041) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კაფე დისქავერისთვის" იჯარით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1]-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 7 ოქტომბრის №40.05.1149 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ჭავჭავაძის გამზირი №36-40-ის მიმდებარედ არსებული 39 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.14.11.016.041) პირდაპირი განკარგვის წესით შპს "კაფე დისქავერისთვის" (ს/კ №204564300) იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. წლიური საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვროს 4200 ლარით.

3. იჯარის მოქმედების ვადად განისაზღვროს 5 წელი.

4. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი